არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალური ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების ასოციაცია“

წესდება

1. ორგანიზაციის სტატუსი და უფლებამოსილება

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „საქართველოს პროფესიონალური ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების ასოციაცია“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, კანონმდებლობის და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.2 ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.3 ორგანიზაციის სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პროფესიონალური ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების ასოციაცია“

1.4 ორგანიზაციის რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს ბეჭედი, ორგანიზაციის საწევრო ბარათი, ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტიკა.

1.5 ორგანიზაცია უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

1.6 ორგანიზაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები პასუხს არ აგებენ, ისევე როგორც ორგანიზაცია არ აგებს პასუხს მისი წევრების მიერ ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად ნაკისრი ვალდებულებებისათვის.

1.7 ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №4, ბინა №8

1.8 ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართია: vgurabanidze@gmail.com
ორგანიზაციის მეორე ელექტრონული ფოსტის მისამართია: dato155@gmail.com

1.9 ორგანიზაცია ფუძნდება განუსაზღვრელი ვადით.

2. ორგანიზაციის მიზნები

2.1 ორგანიზაციის მიზანია ინფორმაციული ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და მის განვითარებაზე ზრუნვა.

2.2 ორგანიზაციის ამოცანებია:

2.2.1 ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევა და მოზიდვა შემდგომში ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მათი დაოსტატების მიზნით.

2.2.2 საერთაშორისო, ნაციონალური, საქალაქო და საკლუბო ღონისძიებების მოწყობა, მათ შორის კონკურსების, ოლიმპიადების, კონფერენციების, გამოფენების, პრეზენტაციების, ტრენინგების, ტესტირების, ნაშრომების შეფასების და მათში მონაწილეობა.

2.2.3 ორგანიზაციის მოწყობა და განვითარება.

2.2.4 ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისათვის ხელშეწყობა, განვითარება და პოპულარიზაცია.

2.2.5 სხვა ქვეყნების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების და მსგავსი სფეროს სპეციალისტების ასოციაციებთან, გაერთიანებებთან, კლუბებთან, ფედერაციებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

2.2.6 ორგანიზაცია შეიძლება ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას.

2.3 საქმიანობას, რომელსაც კანონით სჭირდება ნებართვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ახორციელებს შესაბამისი ორგანოდან მისი მიღების შემდეგ.

2.4 ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიების სია: პროგრამისტი, მონაცემთა ბაზების სპეციალისტი, DevOps ინჟინერი, სისტემური ადმინისტრატორი, ვებ პროგრამისტი, PHP პროგრამისტი, ReactJS პროგრამისტი, AngularJS პროგრამისტი, VueJS პროგრამისტი, Fullstack პროგრამისტი, Frontend პროგრამისტი, Back-end პროგრამისტი, Canvas სპეციალისტი, Ajax სპეციალისტი, JSON სპეციალისტი, Node.js სპეციალისტი, SQL სპეციალისტი, MySQL სპეციალისტი, CSS/XML/XSLT/jQuery/HTML/W3 სპეციალისტი, PHP Framewors პროგრამისტი, ASP პროგრამისტი, ვებ დიზაინერი, დიზაინერი, 3D მხატვარი, 2D მხატვარი, გრაფიკური დიზაინის სპეციალისტი, ანიმაციის მხატვარი, 3D სპეციალისტი, 2D სპეციალისტი, სისტემური ანალიტიკოსი, IT სისტემური ანალიტიკოსი, Flash მასტერი, JavaScript პროგრამისტი, TypeScript პროგრამისტი, QA ინჟინერი, Android პროგრამისტი, IOS პროგრამისტი, UX/UI დიზაინერი, Software პროგრამისტი, C+ პროგრამისტი, C# პროგრამისტი, Phyton პროგრამისტი, Java პროგრამისტი, Swift პროგრამისტი, Ruby პროგრამისტი, Go პროგრამისტი, Usability სპეციალისტი, ქსელის სპეციალისტი, SEO სპეციალისტი, კომპიუტერული თამაშების დიზაინერი, კომპიუტერული თამაშების სპეციალისტი, საიტის ადმინისტრატორი, ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტი, ფორუმის მოდერატორი, HTML სპეციალისტი, პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების სპეციალისტი, Unity სპეციალისტი, IT ჯგუფის ხელმძღვანელი, 1C პროგრამისტი, ბლოგერი, SMM მენეჯერი, პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტორი, CRM სპეციალისტი, პროექტის მენეჯერი და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტი.

3. ორგანიზაციის დამფუძნებლები

3.1 ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

(ა) ვლადისლავ გურაბანიძე (პირადი ნომერი: 01017008600, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №4, ბინა №8, დაბადების თარიღი: 29 აპრილი 1980).

(ბ) დავითი ანასტასიადი (პირადი ნომერი: 01006018661, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი №20, ბინა №30, დაბადების თარიღი: 25 ოქტომბერი 1987).

(გ) თემურ მსტოიანი (პირადი ნომერი: 01017034006, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ტ. შევჩენკოს ქუჩა №16/15, ბინა №1, დაბადების თარიღი: 12 აგვისტო 1987).

(დ) ზურაბი კაპანაძე (პირადი ნომერი: 35001065303, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №1, ბინა №1, დაბადების თარიღი: 24 ოქტომბერი 1992).

3.2 ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღების საკითხი წყდება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

3.3 ორგანიზაციაში წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ან წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ დამფუძნებლები.

3.4 ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად შესაძლებელია ინტერნეტ რესურსების გამოყენება.

4. ორგანიზაციის წევრი

4.1 ორგანიზაციის წევრი შეიძლება გახდეს, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ამ წესდების მიზნებს, მზადაა იკისროს წესდებით

გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, აქვს სათანადო გამოცდილება და უნარ-ჩვევები.

4.2 ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველმა წერილობით უნდა მიმართოს ორგანიზაციას, რის შემდეგაც წევრად მიღების საკითხს 1 (ერთი) თვის განმავლობაში გადაწყვეტენ დამფუძნებლები ან ამ ორგანიზაციის ორი მოქმედი წევრი.

4.3 ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველმა წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს თავის რეზუმე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში თავის შექმნილი პროექტები, ნაშრომები, მასალები, ბმულები, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნის სერტიფიკატები, დიპლომები, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მომუშავე კომპანიების რეკომენდაციები ან სხვა ნებისმიერი მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველი არის მაღალი დონის პროფესიონალი ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

4.4 ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველის ინფორმაციულ ტექნოლოგიებში პროფესიონალური ცოდნის დონის შემოწმება შესაძლებელია მისთვის ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ტესტირების ჩატარებით.

4.5 ორგანიზაციის მოქმედი თავმჯდომარე და წევრები უნდა იყვნენ მხოლოდ პროფესიონალური და მაღალი ცოდნის დონის პირები ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

4.6 ორგანიზაციის მოქმედ თავმჯდომარეს და ორგანიზაციის წევრებს აქვთ წარმოდგენილი ორგანიზაციის სხვა წევრებისთვის თავის რეზუმე, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში თავის შექმნილი პროექტები, ნაშრომები, მასალები, ბმულები, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნის სერტიფიკატები, დიპლომები, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში მომუშავე კომპანიების რეკომენდაციები ან სხვა ნებისმიერი მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ ორგანიზაციაში არის მაღალი დონის პროფესიონალები ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

4.7 ორგანიზაციაში გაწევრიანება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირების ვისაც აქვს პროფესიონალური და მაღალი ცოდნის დონე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში.

4.8 წევრობის შემდგომში ორგანიზაციაში გაწევრიანება/დამატება მოხდება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით და მათი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის/გაწევრიანების შემდეგ.

5. ორგანიზაციის წევრის უფლება-მოვალეობები

5.1 ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს:

5.1.1 დაასახელოს წარმომადგენელი, რომელიც შეიძლება არჩეულ იქნას ორგანიზაციის მართვის ორგანოებში.

5.1.2 მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის საერთო კრების მუშაობაში.

5.1.3 მონაწილეობდეს ორგანიზაციულ საკითხებში.

5.1.4 გაეცნოს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

5.1.5 ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ.

5.1.6 გავიდეს ორგანიზაციიდან.

5.1.7 განახორციელოს ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს ორგანიზაციის წესდებიდან.

5.2 ორგანიზაციის წევრი ვალდებულია:

5.2.1 დაიცვას ორგანიზაციის წესდება.

5.2.2 ხელი შეუწყოს ორგანიზაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

5.2.3 არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის თავისი უფლებამოსილება, აგრეთვე ორგანიზაციის კონფიდენციალური ინფორმაცია.

5.2.4 ორგანიზაციის თავმჯდომარეს და ორგანიზაციის წევრებზე გასცეს ორგანიზაციის საწევრო ბარათი, რომელიც დაადასტურებს ორგანიზაციაში პირის წევრობას.

5.2.5 შეასრულოს ნებისმიერი სხვა ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ორგანიზაციის წესდებიდან.

6. ორგანიზაციის წევრობის შეჩერება და შეწყვეტა

6.1 ორგანიზაციის წევრს შეუწყდება წევრობა დამფუძნებლების გადაწყვეტილებით:

6.1.1 წევრის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

6.1.2 წევრის ლიკვიდაციის ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში.

6.1.3 ორგანიზაციის წესდების უხეშად დარღვევის შემთხვევაში.

6.1.4 ორგანიზაციის წევრისათვის შეუფერებელი მოქმედების ჩადენის შედეგად.

7. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

7.1 ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა - წევრთა საერთო კრება (შემდგომში - „საერთო კრება").

7.2 ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოა - ორგანიზაციის გამგეობა (შემდგომში - „გამგეობა").

7.3 ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია - გამგეობის თავმჯდომარე (შემდგომში - „გამგეობის თავმჯდომარე").

7.4 გამგეობის თავმჯდომარეა: ვლადისლავ გურაბანიძე (პირადი ნომერი: 01017008600, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №4, ბინა №8, დაბადების თარიღი: 29 აპრილი 1980).

8. საერთო კრება და მოწვევის წესი

8.1 საერთო კრება წარმოადგენს ორგანიზაციის მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელიც მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის ან გამგეობის სხვა წევრის მიერ წელიწადში ერთხელ ან როდესაც ამას მოითხოვს ორგანიზაციის ინტერესები.

8.2 საერთო კრების მოწვევის შესახებ წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით, საერთო კრების ჩატარებამდე სულ მცირე 2 (ორი) კვირით ადრე.

8.3 შეტყობინებაში საერთო კრების ჩატარების შესახებ უნდა იყოს აღნიშნული საერთო კრების ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი.

8.4 შეტყობინება საერთო კრების ჩატარების შესახებ შეიძლება გაიგზავნოს წერილობითად ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

9. საერთო კრების ჩატარების წესი

9.1 საერთო კრებას თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარე, მის მიერ ამ უფლების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საერთო კრებას წარმართავს საერთო კრების მიერ განსაზღვრული გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

9.2 საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

9.3 ორგანიზაციის თითოეულ წევრს კენჭისყრისას აქვს თითო ხმა.

9.4 დასაშვებია ხმის უფლების გადაცემა სხვა წევრისათვის წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

9.5 საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ფარული ან ღია კენჭისყრით. კენჭისყრის სახეობას განსაზღვრავს საერთო კრება.

9.6 საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

9.7 გადაწყვეტილებები ორგანიზაციის მიზნის შეცვლის თაობაზე მიიღება წევრთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით.

9.8 საერთო კრების გადაწყვეტილება ნამდვილია, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, შეტანილია იყო საერთო კრების დღის წესრიგში. ახალი საკითხი შეიძლება იქნეს შეტანილი დღის წესრიგში საერთო კრებაზე დამსწრეთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით.

9.9 საერთო კრების ჩატარების დროს მზადდება ოქმი, რომელშიც მიეთითება საერთო კრების ჩატარების ადგილი, დრო, დამსწრეთა რაოდენობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების არსებობის შინაარსი და გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

10. საერთო კრების კომპეტენცია

10.1 საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

10.1.1 ორგანიზაციის მიზნის შეცვლა.

10.1.2 კანონმდებლობისა და წესდების თანახმად სხვა საკითხების გადაწყვეტა.

11. გამგეობა

11.1 ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოა - ორგანიზაციის გამგეობა, რომელსაც ირჩევენ დამფუძნებლები არაუმეტეს 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით 2 (ორი) წლის ვადით. ამასთან, ამ ვადის გასვლის შემდეგ გამგეობის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

11.2 გამგეობის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება საკუთარი ნებით გადადგომის შემთხვევაში, გარდაცვალების ან ქმედუნარიანობის დაკარგვისას ან მისი გადაყენებისას.

11.3 გამგეობა, როგორც წესი, იკრიბება 3 (სამ) თვეში ერთხელ, სხდომის კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს და მის ჩატარებამდე 2 (ორი) დღით ადრე გამგეობის წევრებს ატყობინებს გამგეობის თავმჯდომარე. ამასთან, იგი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დანიშნოს გამგეობის რიგგარეშე სხდომა საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის ერთ-ერთი წევრის მოთხოვნით, რის შესახებაც სხდომის გამართვამდე გონივრული ვადით ადრე ატყობინებს გამგეობის სხვა წევრებს.

11.4 გამგეობის სხდომას უძღვება გამგეობის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას უძღვება გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

11.5 გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სულ მცირე 4 (ოთხი) წევრი.

11.6 გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გამგეობის თავმჯდომარის ხმას.

11.7 გამგეობა:

11.7.1 წარმართავს და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობას.

11.7.2 შეიმუშავებს ორგანიზაციის საქმიანობის პროგრამას და გეგმებს.

11.7.3 შეიმუშავებს და ამტკიცებს ორგანიზაციის ბიუჯეტის პროექტს.

11.7.4 იღებს გადაწყვეტილებას თანხის გამოყოფაზე კონკრეტული პროექტების და გეგმების დაფინანსებისთვის ან სხვა საჭიროებისთვის.

11.7.5 ახორციელებს ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და წესდებას.

11.8 გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს გადაწყვეტილების ფორმით, რომელიც ძალაშე შედის გამგეობის თავმჯდომარის მიერ ხელის მოწერისთანავე.

11.9 გამგეობა ამტკიცებს ორგანიზაციის თანამშრომლების საშტატო განრიგს და სახელფასო პოლიტიკას.

11.10 გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ამ წესდებით დადგენილი წესით ან განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას.

11.11 ამ ეტაპზე გამგეობა შედგება 4 (ოთხი) წევრისგან:

(ა) ვლადისლავ გურაბანიძე (პირადი ნომერი: 01017008600, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №4, ბინა №8, დაბადების თარიღი: 29 აპრილი 1980).

(ბ) დავითი ანასტასიადი (პირადი ნომერი: 01006018661, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი №20, ბინა №30,

დაბადების თარიღი: 25 ოქტომბერი 1987).
(გ) თემურ მსტოიანი (პირადი ნომერი: 01017034006, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ტ. შევჩენკოს ქუჩა №16/15, ბინა №1, დაბადების თარიღი: 12 აგვისტო 1987).
(დ) ზურაბი კაპანაძე (პირადი ნომერი: 35001065303, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №1, ბინა №1, დაბადების თარიღი: 24 ოქტომბერი 1992).

12. გამგეობის თავმჯდომარე

12.1 გამგეობის თავმჯდომარე არის ორგანიზაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

12.2 გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა დამფუძნებლების მიერ, გამგეობის უფლებამოსილების ვადით. ამასთან, ამ ვადის გასვლის შემდეგ მისი უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება გამგეობის ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

12.3 გამგეობის თავმჯდომარე:

12.3.1 წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობის წესდების მიზნების შესაბამისად.

12.3.2 წარუძღვება საერთო კრების სხდომებს.

12.3.3 წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობისას.

12.3.4 ზედამხედველობს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და ქონების მართვას.

12.3.5 იწვევს საერთო კრების და გამგეობის სხდომებს წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

12.3.6 ხელს აწერს ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებს.

12.3.7 წყვეტს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, თუ ისინი არ განეკუთვნება ორგანიზაციის საერთო კრების ან გამგეობის კომპეტენციას.

12.3.8 პასუხისმგებელია ორგანიზაციის საერთო კრებისა და წევრების წინაშე თავისი საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილების გამო.

12.4 გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება შეწყდეს მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების, ორგანიზაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელის გამო ან კანონმდებლობით და წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, ხოლო იმავე გადაწყვეტილებით დამფუძლებლები გამგეობის წევრთაგან ირჩევს გამგეობის ახალ თავმჯდომარეს.

12.5 გამგეობის თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობისას, გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილებებს (მათ შორის წარმომადგენლობით ფუნქციებს) მისივე დავალებით და წერილობით მინდობილობის საფუძველზე ახორციელებს გამგეობის სხვა წევრი.

13. ორგანიზაციის ქონების ფორმირების წესი

13.1 ორგანიზაციის ქონება იქმნება:

13.1.1 გრანტებით, შემოწირულობით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.1.2 სხვა წყაროებიდან, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

13.2 ორგანიზაციის ქონება და შემოსავლები გამოიყენება მხოლოდ ორგანიზაციის მიზნებისათვის.

13.3 ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გასხვისება ემსახურება ორგანიზაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

14. ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

14.1 ორგანიზაციის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

14.2 ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევაში:

14.2.1 გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას.

14.2.2 დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

14.2.3 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.3 ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესს ახორციელებს გამგეობის თავმჯდომარე ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი.

14.4 ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.5 დამფუძნებლების გადაწყვეტილება ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

14.6 ორგანიზაციის ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა მსგავსი საწესდებო მიზნების მქონე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.7 დაუშვებელია ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 წესდების რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მთელი წესდების ბათილობას. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც წესდებაში რაიმე ხარვეზი იქნება დადგენილი.

15.2 ბათილი დებულების ნაცვლად ან ხარვეზის შესავსება გამოყენებული უნდა იქნას ის შესაბამისი ნორმები, რომელიც უფრო ახლოა ორგანიზაციის დამფუძნებლების ნებასთან, აგრეთვე შეესაბამება წესდების არსსა და მიზანს.

ვლადისლავ გურაბანიძე

ვლადისლავ გურაბანიძე პ/ნ: 01017008600

დავითი ანასტასიადი

დავითი ანასტასიადი პ/ნ: 01006018661

თემურ მსტოიანი

თემურ მსტოიანი პ/ნ: 01017034006

ზურაბი კაპანაძე

ზურაბი კაპანაძე პ/ნ: 35001065303

ეროვნული ბანკი
201 წ.

ბიბლიოთეკა
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ფონდი №772
თარიღი "28" აპრილი 2021 წ.
ფ.ანგარიშგება 7 ხელმოწერა